№ 39

F247 № 490

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბრძოლა

კვირა, 19 ნოემბერი 1917 წ.

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгiевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакцiя груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 39 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 39

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

# საიდუმლო ხელშეკრულობის გამოქვეყნება

### საიდუმლო დიპლომატია.

გარეშე საქმეთა კომისარმა, ლ. ტროცკი-მ მოძებნა სახელმწიფო ქაღალდებში მიმალული საიდუმლო ხელშეკრულებანი ნიკოლოზის მიერ დადებული „მოკავშირე" სახელმწიფოებთან და გაზ. „პრავდის" ფურცლებზე გამოაქვეყნა. ამ საიდუმლო ხელშეკრულებას, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვათავსებთ, წინ უძღვის ხალხის კომისარის, ლ. ტროცკის შემდეგი წერილი.

ვიწყებთ იმ საიდუმლო დოკუმენტების, გამოქვეყნებას, რომლითაც რუსეთის მთავრობას, როგორც მეფის თვითმპყრობელობის დროს ისე ბურჟუაზიულ-კოალიციური მთავრობის დროსაც ხელშეკრულება ქონდა დადებული მოკავშირე სახელმწიფოებთან ხალხის ზურგს უკან, ჩუმათ და რომელთა გამოქვეყნება ჯერ ისევ მაშინ იდვა თავს ჩვენმა პარტიამ, როცა იგი მთავრობის მხოლოთ ოპოზიციას წარმოადგენდა. საიდუმლო დიპლომატია, ეს აუცილებელი იარაღია შეძლების მქონებელ უმცირესობისათვის, რომ ამით მან უმრავლესობა თავის საკუთარ ინტერესებს დაუმორჩილოს. იმპერიალიზმა, რომელიც მუდამ მსოფლიოს ხელში ჩაგდებას ესწრაფვის და მტაცებლურ კავშირებს აწყობს, საიდუმლო დიპლომატობის სისტემა უმაღლეს წერტილამდე განავითარა. ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც ევროპის ხალხები სისხლისგან დაცალა და სამუდამოთ განაადგურა, კაპიტალისტური დიპლომატიის წინააღმდეგ ბრძოლას მოასწავებს; სწორეთ იმ დიპლომატიის რომელსაც საკმაო საბუთი აქვს, დღის სინათლეზე გამოსვლის, გამოჩენის ეშინოდეს. რუსეთის ხალხმა და მასთან ერთათ ევროპის და მთელი ქვეყნიერების ხალხმა უნდა გაიგონ სიმართლე, თუ რა საბუთით, რა გეგმით მოქმედებენ ეს დიპლომატები, რომლებიც ხალხის ზურგს უკან, საიდუმლოთ ფინანსისტებისა და მრეწველების ჩაგონებით ხსენებულ დოკუმენტებს ადგენდენ. ამ სიმართლის გაგების უფლება ევროპის ხალხებმა აურაცხელი მსხვერპლის გაღებით და თავისი ნივთიერი გაადგურებით გამოიყიდეს.

საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება ეს პირველი აუცილებელი პირობაა პატიოსანი, ხალხური, ნამდვილათ დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის წარმოებისა. ასეთი პოლიტიკის გატარებას მიზნათ ისახავს საბჭოთა მთავრობა. სწორეთ ამიტომ არის, რომ იგი აშკარა წინადადებით მიმართავს რა ყველა მეომარ ქვეყნებს და მათ მთავრობებს დაუყონებლივ მორიგდენ, ამავე დროს აქვეყნებს ხელშეკრულობისა და შეთანხმების იმ დოკუმენტებს, რომელთაც დღეს არავითარი ძალა აღარ აქვთ რუსეთის მუშებისა, სალდათებისა და გლეხებისათვის, ვინაიდან ძალა-უფლება ახლა, ამათ უპყრიათ ხელთ.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და მწერლები გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთისა ამით ისარგებლებენ და შეეცდებიან ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოების დიპლომატიის უპირატესობა ქვეყანას დაანახვონ; მარა მათი ასეთი ცდა უთუოთ საცოდავი მარცხით დასრულდებოდა; და ეს მოხდება ორი მიზეზით. პირველათ იმიტომ, რომ ჩვენ მალე გამოვაქვეყნებთ ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც ცენტრალურ სახელმწიფოების დიპლომატიას საკმაო ნათლათ ახასიათებს. მეორეთ—და ეს უმთავრესია — საიდუმლო დიპლომატიის მეტოდი სწორეთ ისეთივე ინტერნაციონალური ხასიათისაა, როგორც იმპერიალისტური მტაცებლობა. როცა გერმანიის პროლეტარიატი რევოლიუციური გზით გზას გაიხსნის თავის მთავრობის კანცელარიების საიდუმლო საკუთნოებისაკენ, მაშინ იგი იქედან გამოქაქავს ისეთ ქაღალდებს, რომელთა მნიშვნელობა არაფრით ჩამოუვარდება ისეთებს, რომელთა გამოქვეყნებას ახლა ჩვენ შეუდექით. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვისურვოთ, რაც შეიძლება მალე მოხდეს ეს.

მუშათა და გლეხთა მთავრობა ამიერიდან აუქმებს საიდუმლო დიპლომატიას და მას ინტრიგებს, საიდუმლო მიწერ-მოწერას და ცბიერ-ორპირობას. ჩვენ დასამალავი არაფერი გვაქვს. ჩვენი პროგრამა მხოლოთ ფორმულაა იმ ცხოველმყოფელი სურვილებისა, რომლითაც მილიონობით მუშების სალდათების და გლეხების გულია აღნთებული. ჩვენ გვსურს, რაც შეიძლება მალე შეიკრას ზავი, დამყარდეს მშვიდობიანობა ხალხთა ერთათ პატიოსან ცხოვრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე აღმოცენებული. ჩვენ გვსურს მალე დაემხო კაპიტალის ძლიერება და ბატონობა. ვააშკარავებთ და გამოვაქლავნებთ რა მთელი ქვეყნიერების წინაშე მმართველი კლასების ნამოქმედარს, როგორც ეს საიდუმლო დიპლომატიის დოკუმენტებშია გამოხატული, ჩვენ მშრომელთა მასას მივმართავთ მოწოდებას იმ სიტყვებით, რომლებიც ჩვენი საგარეო პოლიტიკის საფუძველს შეადგენენ: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით".

ხალხის კომისარი გარეშე საქმეთა
ლ. ტროცკი.

---

### შეთანხმება შესახებ კონსტანტინოპოლისა და სრუტეებისა.

(ცნობა).

19 თებერვალს (4 მარტს) 1917 წელს გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა საფრანგეთის და ინგლისის ელჩებს სახსოვარი ცნობა, რომელშიაც გამოთქმული იყო სურვილი, რომ ახლანდელ ომის დასასრულს რუსეთს შეუერთდეს შემდეგი ტერიტორიები: ქალაქი კონსტანტინოპოლი, ბოსფორის, მარმარილოს ზღვის და დარდანელის დასავლეთი ნაპირები: სამხრეთი ფრაკია ენოს—მიდიას ხაზამდე; მცირე აზიის ნაპირი ბოსფორსა, მდინარე საკარიასა და იზმიდის ყურის იმ პუნკტს შუა, რომელიც შემდეგ უნდა იქნეს განსაზღვრული; მარმარილოს ზღვის კუნძულები და იმბროსის და ტენედოსის კუნძულები. საფრანგეთის და ინგლისის სპეციალური უფლებები აღნიშნულ ტერიტორიების საზღვრებში ხელშეუხებელი დარჩებოდა.

როგორც საფრანგეთის, ისე ინგლისის მთავრობამ გამოსთქვეს თავისი თანხმობა ჩვენი სურვილების დაკმაყოფილებისა იმ პირობით, რომ ომი გამარჯვებით გათავდეს და დაკმაყოფილებულ იქნას საფრანგეთის და ინგლისის მთელი რიგი მოთხოვნილებებისა, როგორც ოსმალეთში, აგრეთვე სხვა ადგილებში.

ეს მოთხოვნილებები, რამდენათაც ისინი ოსმალეთს ეხებიან, შემდეგია.

ცნობა კონსტანტინოპოლისა თავისუფალ პორტათ იმ საქონლის გატანისათვის, რომელიც რუსეთიდან არ მოდის და რუსეთში არ მიდის და სავაჭრო ხომალდებისთვის თავისუფლათ გასვლა სრუტეებში.

ცნობა აზიის ოსმალეთში ინგლისის და საფრანგეთის უფლებებისა, რომლებიც დაწვრილებით უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული შეთანხმებით საფრანგეთს, რუსეთსა და ინგლისის შუა.

მუსულმანთა სალმრთო ადგილების და არაბეთის დატოვება მუსულმანთა დამოუკიდებელ მფლობელობაში.

ინგლისსა და რუსეთს შუა 1907 წ. დადებულ ხელშეკრულობის თანახმათ ღიარებული სპარსეთის ნეიტრალური ზონის შეტანა ინგლისის გავლენის სფერაში.

რუსეთის მთავრობამ სცნო, რომ ეს მოთხოვნილებები საერთოთ დასაკმაყოფილებელია, მაგრამ თავისი მხრით შეიტანა შემდეგი შესწორება:

ჩვენი სურვილების ფორმალურათ ჩამოსაყალიბებლათ შესახებ მუსულმანთა სალმრთო ადგილებისა აუცილებელია ახლავე გამოირკვეს დარჩებიან ეს ადგილები ოსმალეთის ხელში და შერჩება სულთანს ხალიფის წოდება, თუ განზრახულია შეიქმნას ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ჩვენის აზრით, სასურველი იქნებოდა ოსმალეთიდან სახალიფო გამოგვეყო. ყოველ შემთხვევაში სალოცავათ მიმავალ მგზავრთა თავისუფლება უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს.

რუსეთის მთავრობა თანახმაა, რომ სპარსეთის ნეიტრალური ზონა შევიდეს ინგლისის გავლენის სფერაში, მაგრამ სამართლიანათ მიაჩნია უფლება დაიტოვოს, რომ ქალაქ ისპაჰანის და იეზდის რაიონები რუსეთს დარჩეს და აგრეთვე ნეიტრალური ზონის ნაწილი, რომელიც სჭრის რუსეთის და ავღანის საზღვარს და აწვება რუსეთის საზღვარს ზულფაგართან, შეტანილ იქნეს რუსეთის გავლენის სფეროში.

რუსეთის მთავრობას სასურველათ მიაჩნია იმავე დროს გადიჭრას საკითხი რუსეთის მოსაზღვრე ჩრდილო ავღანისტანზე იმავე სახით, როგორც ეს გამოთქმული იყო 1914 წ. მოლაპარაკების დროს.

როცა იტალია ჩაერია ომში, ჩვენი სურვილები ეცნობა იტალიის მთავრობასაც და უკანასკნელმა, თავისი მხრით თანხმობა განაცხადა იმ პირობით, რომ ომი გამარჯვებით იქნას გათავებული და განხორციელებულ იქნას იტალიის მოთხოვნილებები საერთოთ და აღმოსავლეთში კერძოთ და ცნობილ იქნას იტალიის უფლება თანასწორათ საფრანგეთის და ინგლისის უფლებებისა ჩვენ მიერ დათმობილ ტერიტორიების საზღვრებში.

---

საიდუმლო დეპეშა პარიზის ელჩისა 26 თებერვალს (11 მარტს) 1917 წ. № 162.

ჩემი პასუხი № 167 დეპეშაზე.

№ 2. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა ადასტურებს რა დიად მნიშვნ-

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას.
## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.
### გაუმარჯოს ხალხს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმობას!

ლობას იმ ხელშეკრულობათა, რომლებიც დადებულია 1915 წ. ახლანდელ ომის გათავების შემდეგ კონსტანტინოპოლის და სრუტეების მოწესრიგების მიზნით რუსეთის მისწრაფებათა თანახმათ და სურს რა უზრუნველყოს გარანტიები თავის მოკავშირესათვის სამხედრო და სამრეწველო მხრით, რომელიც სასურველია იმპერიის უშიშროებისა და ეკონომიური განვითარებისათვის, სცნობს რუსეთისათვის სრულ უფლებას მისი დასავლეთის საზღვრების დამყარების საქმეში.

ხელს აწერს იზვოლსკი.

## საზონოვის პროგრამა.

საიდუმლო დეპეშა ელჩს პარიზში.

პეტროგრადი. 24 თებერვალი 1916 წელი № 948.

ვემყარები ჩემს დეპეშას № 6063 1915 წლისა.

მომავალ კონფერენციაზე თქვენ შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შემდეგი საერთო დებულებებით.— მოკავშირეთა შორის ომის დროს დადებული ხელშეკრულობანი ურყევლათ უნდა დარჩეს და მათი გადასინჯვა არ შეიძლება, ამას ეკუთვნის ჩვენი შეთანხმება საფრანგეთსა და ინგლისთან შესახებ კონსტანტინოპოლისა, სრუტეებისა, სირიისა და მცირე აზიისა და აგრეთვე ლონდონის ხელშეკრულობა იტალიასთან. ყოველივე განზრახვა შუა ევროპის მომავალი გადამიჯვნის შესახებ ამ ჟამათ უდროულია, მაგრამ საერთოთ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მზათა ვართ სრული თავისუფლება მივანიჭოთ საფრანგეთს და ინგლისს შესახებ გერმანიის დასავლეთ საზღვრების დადგენისა იმ ანგარიშით, რომ თავისი მხრით მოკავშირეებიც სრულ თავისუფლებას მოგვცემენ ჩვენ მიერ გერმანიის და ავსტრიის საზღვრების დადგენაში. განსაკუთრებით საჭიროა მოვითხოვოთ, რომ პოლონეთის კითხვა გამორიცხულ იქნას საერთაშორისო მსჯელობის საგნებიდან და თავიდან აშორებულ იქნას ყოველივე ცდას რომ პოლონეთის მომავალი სახელმწიფოების გარანტიას და კონტროლს დაექვემდებაროს.—სკანდინავიის სახელმწიფოების შესახებ უნდა მივისწრაფოდეთ შევაჩეროთ შვეცია ჩვენს წინაალმდეგ მტრული გამოსვლიდან და დროიანათ იქნას განხილული ზომები ნორვეგიის ჩვენს მხარეზე გადმოსაყვანათ იმ შემთხვევაში, თუ შვეციასთან ომს ვერ ავიცილებდით.—რუმინიას უკვე მიეცა წინადადება ყველა პოლიტიკურ სარგებლობათა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ გააბედვინოს მას იარაღის ხელში აღება, ამიტომ მისი გადმოსაბირებლათ ახალი ხრიკების ძებნა უსარგებლოა.—ჩინეთის ბაზრიდან ნემცების განდევნის საკითხს მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რადგან მისი გადაწყვეტა, თუ იაპონიამ მონაწილეობა არ მიიღო, შეუძლებელია, უკეთესია ეს კითხვა დაისვას გასარჩევათ ეკონომიურ კონფერენციაზე, სადაც იაპონიის წარმომადგენლებიც იქნებიან. ეს არ უარყოფს იმას, რომ სასურველია წინასწარი აზრთა გაზიარება ამ საგანზე რუსეთის, საფრანგეთსა და ინგლისს შუა დიპლომატიური წესით.

ხელ აწერს საზონოვი.

## „არ გათეთრდება ყორანი“

ჩვენებურ მენშევიკებს და „ერთობას“ რომ შეეკითხოთ: ვინ ხართ თქვენო, წარბშეუხრელათ გიპასუხებენ: ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, სრულიად არ ვგევართ რუსეთის ობორონცებს, ცნობილ ლიბერ-დან-წერეთლებსო. როცა მათ ეკითხებიან, თუ როგორ უყურებენ ისინი ოქტომბრის რევოლიუციას, დარდი-მანდათ გიპასუხებენ, ჩვენ შემცდარათ მიგვაჩნია, ბოლშევიკების ნაბიჯი და მოქალაქობრივი ომი—რევოლიუციის დამღუპველათ, მარა იმავე დროს წინაალმდეგი ვართ, რომ ეს ბოლშევიკების მიერ ატეხილი ომი ტლანქი ძალით, ხიშტებით იქნას ჩაქრობილიო. როცა ეკითხებით: მაშ სად არის გამოსავალი? ღრმათ მორწმუნე ადამიანივით გიპასუხებენ: ჩვენ უნდა მოვნახოთ შუა ხაზი, ხაზი მორიგებისა, ხაზი კომპრომისული, როცა ორივე მოპირდაპირე ბანაკი იმდენათ უთმობენ ერთმანეთს, რომ შესაძლებელი ხდება მათი მორიგება და მოქალაქობრივი ომის მშვიდობიანი ლიკვიდაციაო. როცა ეკითხებით: ნუთუ თქვენ გულწრფელათ გწამთ, რომ შესაძლებელია ამ ორი ბანაკის მშვიდობიანი გზით მორიგება, როგორიც არიან: ერთი მხრით—რევოლიუციონურ-სოციალისტური პროლეტარიატი და გლეხობა მათი საბჭოების მეთაურობით, და მეორე მხრით—კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და ე. წ. „ობორონცული დემოკრატია“ კერენსკი-ლიბერ-დან-აქსენტიევ-გოცის მეთაურობით? - არხეინათ იპასუხებენ: გონივრული, წმინდა მარქსისტული პოლიტიკა—დიპლომატია ყველაფერს შესძლებსო.

როცა ჩვენ მენშევიკებს ვუკიჟინებთ: ასეთი წაჯიქ-უკუჯიქობა, ორ სკამზე ჯდომა, პილატესავით ხელის დაბანა, განზე გადგომა და ყურება.—ნიშნავს მტრის ზურგის გამაგრებას და რევოლიუციის პირდაპირ ღალატს, გაცემასო,—ისინი სიბრაზით ყალყზე დგებიან, ნერვიანობენ, ისტერიკა მოსდით და უსაზღვროთ გვლანძღავენ.

დღეს ცხოვრებამ, რომელიც საუკეთესო მასწავლებელია ყველასათვის, გარდა მენშევიკებისა, ცხად ჰყო, რომ ამ ისტორიულ დავაში ჭეშმარიტება ჩვენ მხარეზეა. დასტურაც: ჩვენ ვამბობდით რომ ამ ორი ბანაკის მორიგება შეუძლებელია; რომ ერთმა მეორე ძალით უნდა აიძულოს იარაღი დაყაროს; რომ „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“ და სხ. ყველაფერი ეს სავსებით გამართლდა. პეტროგრადის აჯანყებამ დასაწყისი მისცა უდიდეს, უმწვავეს და უღრმეს რევოლიუციას, მოქალაქობრივ ომს. მთელი ვეებერთელა რუსეთი დაიყო უკვე ორ ბანაკათ, რომელთა შორის გაჩაღდა სამხედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ყოველი ჯურის „მომრიგებლების“ ერთი ნაწილის ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, ანდა, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, მავნებელი გამოდგა რევოლიუციისათვის და სასარგებლო კონტრ—რევოლიუციისათვის. „მომრიგებლების“ მეორე, უფრო დიდი ნაწილი კი, წმინდა წყლის ობორონცების-ლიბერდან-გოცის მეთაურობით, როცა დარწმუნდა რომ კერენსკის და ლენინის მორიგება, ე. ი. რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის შეთანხმება შეუძლებელია, პირდაპირ, აქტიურათ მიემხრო მეორეს პირველის ჩასაქოლავათ. გაიხსენეთ ოქტომბრის დამლევის კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობა პიტერში და მთელ კვირის განმავლობაში სასტიკი ხელ ჩართული ომი, მოსკოვში, რაც კონტრ-რევოლიუციის სრული დამარცხებით გათავდა.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ გამარჯვებული ბრძოლის ველზე რევოლიუციონური ბანაკია. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ დროშა ბოლშევიზმის არის დროშა კლასიური, დროშა სოციალისტური პროლეტარიატის, დროშა რევოლიუციონური ინტერნაციონალიზმის. დღეს „ურწმუნო თომანიც“ კი რწმუნდებიან, რომ ოქტომბრის რევოლიუცია არაა რომელიმე ჯგუფის, სექტის ან პარტიის საქმე, არამედ იგი უაღრესათ სოციალური მოვლენაა, აღმოცენებული უკიდურესათ გამწვავებულ კლასთა ბრძოლის და იმპერიალისტური ომის ნიადაგზე; რომ პიროვნება, კოლექტივი, პარტია უძლურია ასეთი მოვლენის ხელოვნურათ შექმნაში, მის წარმოშობაში, მათ შეუძლიათ მხოლოთ „მშობიარობის შემსუბუქება“, აკუშორის როლი ითამაშონ ე. ი. შეუგნებელ პროცესში შეგნება, პლანი და ორგანიზაცია შეიტანონ, წინ წაუძღვენ მოწინავე კლასს, კლასს მომავლისას, კლასს—დემიურგს, რომ გაუადვილოს მას ისტორიული მოწოდების, საკაცობრიო მისიის ღირსეულათ დაგვირგვინება.

ასეთია დღეს რუსეთის პროლეტარიატი, რომელმაც ოქტომბერში ააფრიალა თავის კლასიური დროშა, დროშა წითელი, სოციალისტური, რომლის გარშემო თავს იყრის რევოლიუციონური ჯარი და გლეხობა,—ყველა ის, ვინც სულით და გულით მიისწრაფვის რევოლიუციისა და სოციალიზმისაკენ. ასეთია ერთად ერთი მარქსისტული პარტია რუსეთში, პარტია რევოლიუციონური სოციალდემოკრატიის, ბოლშევიკების პარტია, ძედგარი ბელადი მებრძოლი ხალხის, რომელსაც მიჰყავს იგი უეჭველ გამარჯვებამდე.

ეს ასეა, დღეს ეს ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტებაა, დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ მეთოდი ბრძოლის, მეთოდი ბოლშევიკური სწორია, მარა ამას ვერ ხედავენ მხოლოთ წვრილი ბურჟუაზიული „სოციალისტები“, მენშევიკები, „ერთობელები“. „ერთობა“ (16 ნოემბრიდან) მოწინავე სტატიაში („ბოლშევიკები და რეპრესიები“) ახასიათებს რა ბოლშევიკების მოქმედებას, როგორც „ჯავშნიან მუშტის“ პოლიტიკას“, განაგრძობს: „თუ არა რეპრესიებისა და იარაღის მეოხებით, როგორ შეძლებდენ(?) ბოლშევიკების ერთი პაწია ჯგუფი (ჰა!) რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში გაბატონებულიყვნენ და ძალა-უფლება ხელში ჩაეგდოთ?“

„ერთობა“ თავიდან ამოთ ცდილობს დაამტკიცოს ყოვლად ყალბი აზრი: რომ ბოლშევიკები ანარხო—ბლანკისტები არიან. ამას რომ შესძლებდეს, მერმე საბუთი ექნება სთქვას: ბოლშევიკები „ერთი პაწია ჯგუფი“ არისო. ამის შემდეგ კი უფლება ექნება დაასკვნას: ბოლშევიკები დროებით მხოლოთ ხიშტებზე არიან გამაგრებულნი“.

მარა არც ერთი ამ დებულებების დამტკიცება არ შეიძლება. ბოლშევიკები ბლანკისტები კი არა, ნამდვილი მარქსისტებია, რომელთა კლასიური (ე. ი. მარქსისტული) ანალიზი რუსეთის რევოლიუციის და ამ ანალიზზე დამყარებული ბრძოლის მეთოდი საუცხოვოთ გაამართლა ცხოვრებამ.

ბოლშევიკები „პაწია ჯგუფი“ კი არ არიან, არამეთ უდიდესი პოლიტიკური, მასსიური პარტიაა პარტია, პროლეტარიატის, მისი მოწინავე რაზმი, რომელიც აერთიანებს თავის დროშისქვეშ 300 ათასამდე პარტიის წევრს.

ბოლშევიკები ხიშტებზე კი არ არიან გამაგრებულნი, არამედ ემყარებიან მოწინავე, ყველაზე უფრო რევოლიუციონურ კლასს, პროლეტარიატს, რომელიც მათში (ბოლშევიკებში) ხედავს თავის ბუნებრივ ისტორიულ ბელადს, საუკეთესო გამომხატველს და დამცველს მისი კლასიური ინტერესებისა.

ხიშტები კი აუცილებელი საშუალებაა განსაზღვრულ მომენტში რევოლიუციონური კლასების ხელში კონტრ-რევოლიუციონური კლასების დასამარცხებლათ.

„იარაღის კრიტიკა“ დაჩაგრული კლასების ხელში, მიმართული დამჩაგვრელების წინაალმდეგ მონობის ბორკილების სამუდამოთ დასალეწათ, სრულიად კანონიერი და სამართლიანი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია ნერვები აუშალოს მხოლოთ ქონდრის კაცებს, ნაცარ-ქექიებს, „აკადემიკოსებს“ და არა პოლიტიკურ მებრძოლთ, რევოლიუციონერ სოციალისტებს, მარქსისტებს.

ეს ასეა, მარა „ერთობა“ თავისას არ იშლის, იგი გულმოდგინეთ და სისტემატიურათ იმეორებს ძველებურ ზღაპრებს ბოლშევიკების შესახებ, რომ სახელი გაუტეხოს დღევანდელ რევოლიუციას. რით აიხსნება ეს? იმით რომ „ერთობა“ წვრილ ბურჟუაზიული სულითაა გაჟღენთილი, იგი საშინლათ კრთის და კანკალებს „წითელ აჩრდილის“ წინაშე. „ერთობას“ არ შეუძლია სხვანაირათ იაზროვნოს, რადგანაც მაგრათ ჩაკრას მას თავში მძიმე ლახტი ცხოვრებამ.

„Рожденный ползать летать не может“—„ხოხვისთვის დაბადებული ფრენას ვერ შესძლებს“.

თედორე.

## მომავალი კატასტროფა და მასთან ბრძოლა.

ნ. ლენინი.

(გაგრძელება.)

ფინანსიური კრახი და მის საწინაალმდეგო ზომა. თუ გვსურს სერიოზულათ ვებრძოლოთ ფინანსების დაშლა დაღლევას და მათ აუცილებელ კრახსა ჩვენ ერთად ერთი გზა დაგვრჩენია, ეს გახლავთ სრული კავშირის შეწყვეტა კაპიტალისტების ინტერესებთან ერთის მხრივ და ნამდვილი დემოკრატიული კონტროლის მოწყობა მეორეს მხრივ. როგორც უკვე განვმარტეთ ზევით „დემოკრატიული კონტროლი“ ნიშნავს კონტროლს „ქვეიდგან“ ე. ი. კონტროლს, რო

შელსაც გაუქმებენ მუშები და ღარიბი გლეხები კაპიტალისტებს.

შეუწყვეტელი ქაღალდის ფულის გამოშვება ხელს უწყობს სპეკულიაციას. მილიონებს იძენენ კაპიტალისტები აუარებელი ფულის მოგროვების გამო ბაზარზედ; ფულის მაზანდა ეცემა, ფულს ეკარგება მნიშვნელობა, მასალა ძვირდება და ამის გამო წარმოება ფერხდება. რა საშუალებას უნდა მიმართოთ, რომ სპეკულიაციით შეძენილი სიმდიდრე არ გადიჩქმალოს?

შეიძლება, შემოვიღოთ შემოსავლობის კვალობაზე გადასახადი პროგრესიულის და მაღალის საწყაოთი დიდრონ შემოსავლებზედ. ეს შემოღებულია უცხოეთის იმპერიალისტურ ქვეყნებში. ჩვენმა მთავრობამაც მოინდომა მისი შემოღება, მაგრამ ესეც უფრო ფიციათ გადიქცა, ვიდრე სინამდვილეთ, ვინაიდგან ფულის ფასი სწაფად ეცემა, გარდა ამისა შემოსავლის გადამალვა იმდენათ ადვილი ხდება, რამდენათ იგი სპეკულაციის შედეგია და რამდენათ კომერციის საიდუმლოება მტკიცედ არის დაცული.

გადასახადი რომ მართლა ნამდვილ გადასახადათ იქცეს და არა უბრალო ფიქციათ, ამისთვის საჭიროა ნამდვილი კონტროლი და არა კონტროლი მარტო ცარიელ ქაღალდზედ. კონტროლი კი კონტროლი არ არის, თუ ის ბიუროკრატიულია, ვინაიდგან ბიუროკრატიული კონტროლი ათასნაირის ძაფებით არის გადაბმული და გადახლართული ბურჟუაზიასთან; ამიტომაც დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, როგორც მონარქიაში ისე რესპუბლიკებში, ფინანსების რიგზე დასაყენებლათ შემოღებულია შრომის ბეგარა რომელიც მუშებისათვის მონურს უღლათ არის გადაქცეული.

რეაქციონულ ბიუროკრატიული კონტროლი, აი ერთად ერთი კონტროლი, რომელიც იცის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, და მათ შორის საფრანგეთისა და ამერიკის დემოკრატიული რესპუბლიკებისაც, რის გამოც ომი მთელი თავისის სიმძიმით კისერზედ აწევა პროლეტარიატს და მშრომელ მასას.

უმთავრესი წინააღმდეგობა ჩვენი მთავრობის პოლიტიკისა იმაში მდგომარეობს, რომ მას ეშინია არ გაჯავროს ბურჟუაზია, არ დაარღვიოს „კოალიცია“ და ამიტომაც არის, რომ აწესებს საქმით რეაქციონულ ბიუროკრატიულ კონტროლს, და სიტყვით კი იგი მას რევოლიუციონურ დემოკრატიულს ეძახის, რითაც უპირცხვილოთ ატყუებს, აღელვებს და ამწარებს ხალხს, რომელმაც ეს არის დაამხო მეფის ტახტი.

მხოლოდ რევოლიუციონურ დემოკრატიულ ზომებს, რომელნიც კავშირებით შეკრავენ დაბეჩავებულ კლასებს, მუშებს და გლეხებს, შეუძლიანთ შექმნან ნამდვილი კონტროლი მდიდრების წინააღმდეგ და მოსპონ შემოსავლის გადამალვის ღონისძიებანი.

რომ როგორმე შეასუსტონ აუარებელი ქაღალდის ფულის გამოშვება, სცდილობენ ხელი შეუწყონ „ჩეკების“ ხმარებას. ჩეკებს ღარიბებისათვის რაიმე მნიშვნელობა არა აქვს. რადგან ღარიბი დღითი დღე ცხოვრობენ, ერთს კვირეში გადაატრიალებს თავის სამეურნეო ავლადიდებას და კაპიტალისტებს უკანვე უბრუნებს იმ ორიოდე გროშს, რომელსაც იმისაგან იღებს ხელფასის სახით. მდიდრებისთვის კი მართლაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩეკს, ამასთან სახელმწიფოს ის მისცემდა შეძლებას, ნამეტნავათ თუ ბანკების ნაციონალიზაციას მოახდენდა და გააუქმებდა კომერციულ საიდუმლოებას, გაეკეთებინა კონტროლი მდიდრების შემოსავლისთვის და გაედემოკრატნა ფინანსიური სისტემა.

მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ კერენსკის მთავრობას ეშინიან რითმე შეეხოს ბურჟუაზიულ პრივილეგიებს, ან გასწყვიტოს კავშირი „კოალიციასთან.“ თუ რევოლიუციონური ზომები არ იქნებიან მიღებულნი, კაპიტალისტები არ დაემორჩილებიან არავითარ კონტროლს, თავიანთ ბიუდჟეტს არავის უჩვენებენ და მძიმეთ შენახულ ქაღალდის ფულებს არ მიუბრუნებენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ანგარიშის გასაკეთებლათ.

მუშები და გლეხები, კი გაერთიანებულნი კავშირებში, ადვილათ მოახდენდნენ ბანკების ნაციონალიზაციას, ჩეკების ხმარებას სავალდებულოდ გახდიდნენ მდიდრებისთვის, გააუქმებდნენ სავაჭრო საიდუმლოებას, დააწესებდნენ ქონების კონფისკაციას შემოსავლის გადამალვისათვის და სხ. სულ ადვილათ დააწესებდნენ ნამდვილს კონტროლს. კონტროლი იქნებოდა მაშინ მიმართული მართლა მდიდრების წინააღმდეგ და უკანვე დაუბრუნებდა ხაზინას აუარებლათ გამოშვებულს ქაღალდის ფულს.

ამისათვის საჭიროა დემოკრატიის რევოლიუციონური დიქტატურა რევოლიუციონური პროლეტარიატის მესვეურობით ე. ი. ამისთვის დემოკრატია უნდა გახდეს რევოლიუციონური.

აი რაშია საქმე, და სწორედ ეს არ უნდათ ჩვენ მენშევიკებს და ესერებს, რომელნიც ხალხს მხოლოდ ეჩვენებიან „რევოლიუციონურის დროშით“, საქმით კი მხარს უჭერენ ბურჟუაზიის რეაქციონურ ბიუროკრატიულ პოლიტიკას; ბურჟუაზია ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთის პრინციპით: „ჩემს უკან თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“.

საზოგადოთ ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, თუ რა ღრმათ არის ჩვენში გამჯდარი ანტი დემოკრატიული ჩვეულებანი და ცრუ რწმენანი შესახებ ბურჟუაზიული საკუთრების ხელშეუხლებლობის სიწმინდისა. როცა ინჟინერი ან ბანკირი აქვეყნებს მუშების შემოსავალ-გასავალის რაოდენობას ლაპარაკობს მათ ხელფასზე და შრომის საწარმოვო ძალაზე, ეს ყველას სამართლიანათ მიაჩნია. ამაში არავინ არ ხედავს მუშის კერძო ცხოვრების ხელშეუხლებლობის უფლების დარღვევას, ანუ „დასმენა“ დაქირავებული მუშის შრომა და ხელფასი ბურჟუაზიული საზოგადოების შეხედულობით მხოლოდ დავთარია, სადაც ბურჟუას შეუძლიან ჩაიხედოს, გაჰკიცხოს მუშის „ფუფუნება“ მისი „სიზარმაცე“ და სხ.

ავიღოთ ეხლა წინააღმდეგი კონტროლი! ვთქვათ ეხლა, სახელმწიფომ მოუწოდა მოხელეთა, ნოქართა და მოსამსახურეთა კავშირებს—გაუკეთოს კონტროლი კაპიტალისტებს შემოსავალ-გასავალისა, გამოაქვეყნოს სათანადო საბუთები და დაეხმაროს მთავრობას გადამალულ-გადაჩქმალულის აღმოჩენაში.

ადვილი წარმოსადგენელია, თუ რა ღრიანცელი ასტყდებოდა მაშინ „დასმენისა“ და „გაჩხრეკის“ წინააღმდეგ. რომელიც კაპიტალისტი კონტროლს უკეთებს მუშებს, ან ბატონი—მოსამსახურეს, ეს არაფერი, ეს ესეც უნდა იყოს, რადგან მშრომელთა და გაყვლეფილთა კლასის კერძო ცხოვრება მოკლებულია ხელშეუხლებლობის უფლებას, ამიტომ ბურჟუას ნება აქვს მოითხოვოს დაქირავებულ მუშისგან ყოველგვარი ანგარიში და თუ საჭიროდ დაინახა გამოაქვეყნოს კიდეც. დაბეჩავებულმა კი თუ გაბედა და მოსთხოვა ექსპლოატატორს წარმოადგინოს „ფუფუნების“ ანგარიში ომის დროს მაინც, როცა ფუფუნებათი ცხოვრებას დაღუპვის გზისკენ მიჰყავს ფრონტი, მაშინ მაშინ ეს შეუძლებელია, ბურჟუაზია ნებას არ მისცემს, რომ იგი „გაჩხრიკონ“ ან „დაასმინონ“.

ერთის სიტყვით საქმის მდგომარეობა ასეთია: ბურჟუაზიის ბატონობა ვერას გზით ვერ შეურიგდება რევოლიუციონურ და დემოკრატიულ პრინციპებს. მე-20 საუკუნეში კაპიტალისტურ ქვეყანაში ვისაც სოციალიზმისკენ გზის გაკაფვისა ეშინიან, იმას არც შეუძლიან იყოს რევოლიუციონერი და დემოკრატი.

(გაგრძელება)

## თბილი ტანისამოსის რეკვიზიცია ჯარისთვის.

8 ნოემბ. სხდომაზე პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭომ ამხ. სკლიანსკის მოხსენებისამებრ თბილი ტანისამოსის რეკვიზიციის მოსახდენათ შემდეგი დეკრეტის პროექტი მიიღო, რომლის განხორციელება თავის წრიდან არჩეულ განსაკუთრებულ კომისიას მიანდო.

# დეკრეტი

### ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებისათვის საჭირო სათბურების რეკვიზიციის მოსახდენათ.

იმის გამო, რომ დღეს ზამთრის მოახლოვების და ცივი სუსხიანი ამინდების დაწყების ჟამს, ფრონტის ჯარს თბილი ტანისამოსი და ყოველნაირი სათბური აკლია, პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭომ დაადგინა: შემოიღოს თბილი ტანისამოსის და სათბურების რეკვიზიცია შეძლებულ კლასისა პოზიციაზე მდგომ ჯარის საჭიროებისათვის. ამ დადგენილების სასრულეში მოსაყვანათ ცხადდება შემდეგი.

1. პეტროგრადში თვითეულ შეძლებულ ბინადარს უნდა ჩამოერთვას თითო თბილი საბანი და თითო სათბური ერთ-ერთი შემდეგი ნივთებიდან: მოკლე ქურქი, კურტკა, ნაბდის ფეხსაცმელი, სახელური, თბილი საცვალი, თბილი წინდები, თბილი ყელსახვევი.

**შენიშვნა.** ყველა ჩამორთმეული ნივთები ვარგისი და გამოსადეგი ღირსების უნდა იქნეს. ვინც უვარგისს და გაფუჭებულს წარმოადგენს, იგი დაჯარიმებულ იქნება 500 მანეთამდე.

2. შეძლებულ ბინათ ჩაითვლება, თვითეული ცალკე სადგომი, რომელშიაც წლიურათ იხდის მდგმური 1,800 მან. ან ამაზე მეტს (თვიურათ 150 მან.).

**შენიშვნა** 1, უნდა ჩამოერთვას აგრეთვე სახლის პატრონსაც და სახელმწიფო ბინების მდგმურ მოხელეებსაც, რომელთაც სამოქალაქო და სამხედრო სამსახურის დიდი ადგილები უკავიათ.

**შენიშვნა** 2. არ ჩამოერთმევათ სასტუმროებს და იმ კერძო ბინებს, რომელთა პატრონებს ცხოვრების სხვა წყარო არ გააჩნიათ, გარდა მოწყობილ ბინების გაქირავებისა.

3. ბინის ქირის ის რაოდენობა უნდა იქნეს სახეში მიღებული, რაც ბინის წიგნშია შეტანილი უკანასკნელ მორიგების დროს, ან კონტრაქტშია მოყვანილი ბინის გათბობის ქირა, ან მეეზოვის ჯამაგირი და სხვა ბინის ქირიდან არ უნდა გამოირიცხოს, თუ რომ ბინის ქირა განსაზღვრული და წორი ციფრით არ არის აღნიშნული.

4. შემოტანილ ნივთების კონტროლის მოსაწესრიგებლათ ბინის პატრონთ ევალებათ 500 მან. ჯარიმის გადახდის შიშქვეშ, რომ არა უგვიანეს 12 ნოემბრისა წარმოადგინონ ორი ცალი განცხადებისა იმაზე, თუ რამდენი და რა ნივთი შემოაქვთ მათ ჯარის სასარგებლოთ. ერთი ცალი ასეთი განცხადებისა უნდა წარუდგინონ სადგომების კომიტეტს, ხოლო მეორე—რაიონის მუშათა და სალდათთა საბჭოს.

5. თბილი ტანისამოსის და სათბურების რეკვიზიციის მოხდენა ევალება სადგომ კომიტეტს. სადგომების კომიტეტებმა კი რაიონის საბჭოებს უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს 12 ნოემბრისა სიები იმ ბინებისა, რომლებსაც ნივთების შემოტანა ევალებათ. 13 ნოემბრისათვის სადგომების კომიტეტებმა ამ ნივთების დაგროვება უნდა დაათავონ და ფრონტზე გასაგზავნათ უნდა გაამზადონ აწერილობითი სიითურთ. შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს სადგომების კომიტეტი (გადახდება 1000 მან. ჯარიმა).

6. სადგომების კომიტეტებმა ისეთ მდიდრებსაც უნდა ჩამოართვან ნივთები, რომლებიც ბინის სივიწროვის გამო თუმცა იმდენ ქირას არ იხდიან, რაც მე-2 მუხლშია მოხსენებული, მაგრამ კომიტეტის პირადი ცნობით ისინი საკმაო შეძლების არიან.

7. სადგომების კომიტეტებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ, რომ მე-2 მუხლის ძალით ჩამორთმეულ ნივთების ნაცვლათ მეპატრონეთ ნება მიეცეთ შემოიტანონ ფული, თუ ისინი გაჭირებულ მდგომარეობაში ვარდებიან. უსაბუთო შუამდგომლობისათვის სადგომების კომიტეტები პასუხის გებაში მიეცემიან და თუ დამნაშავე აღმოჩნდენ, 1000 მან. ჯარიმა გადახდებათ.

8. რეკვიზიციის და ნივთების მოგროვების საზოგადო ხელმძღვანელობის საქმის როლი ეკუთვნის პეტროგრადის და მისი რაიონების მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებს.

ეს დეკრეტი საბჭომ მიიღო ერთ-ხმათ, მთელი კრებიდან მხოლოთ 9 კაცმა შეიკავა თავი.

## მოხსენება რუს. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტ. (ბოლშევიკების) საზღვარგარეთელ დელეგაციისა.

### საერთაშორისო მდგომარეობაზედ.

რუსეთის ახალი რევოლიუციისა და მუშებისა და გლეხების მთავრობის დაარსების ამბავს საზღვარ გარეთელ ბურჟუაზიულ და მართველ წრეებში ერთგან უნდობლობით (გერმანიასა და ავსტრიაში), ხოლო სხვაგან გადაჭარბებულ მტრულათ შეხვდნენ (მოკავშირეთა ქვეყნებში). ნემეცებისა და ავსტრიელების ბურჟუაზიული პრესა იმ აზრისა იყო, რომ ახალი მთავრობა დიდ ხანს ვერ იარსებებდა. ასეთ რწმენის სასარგებლოთ ლაპარაკობდა ის გარემოებაც, რომ 24 ოქტომბრიდან დაწყობილი პეტროგრადიდან არავითარი ცნობა აღარ იყო მოსული. ამას გარდა, ტორნეოდან და გაპარანდიდან მოდიოდა ათას გვარი ჭორები, რომელსაც ინგლისის ჩინოვნიკები სტოკგოლმში ავრცელებდნენ, ვითომ კერენსკიმ, კალედინმა და კომპ. პეტერბურგი აიღო, რომ იქ გარეშე ქვეყნების ქვეშევრდომებს ხოცავენ და სხვა. მიუხედავათ ამისა ნემეცების ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესა თხოულობდა, რომ, თუ შერიგებაზე ლაპარაკი ითხოვა ახალმა რუსეთის მთავრობამ, უარი არ ეთქვათ იმაზედ. საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიულმა პრესამ კი,

ორიოდე გაზეთის გამოკლებით, მთელი კამპანია დაიწყო მუშების მთავრობისა და თვით კერენსკის წინააღმდეგ. უკანასკნელს ის ამტყუნებდა გაუბედაობაში და ორ სკამზე ჯდომას. რა ნაირათ შეხვდა ახალს რევოლიუციას საზღვარ-გარეთელი მუშათა კლასი? რუსეთის რევოლიუციას ჯერ ისევ პირველ დღეებში მთელი ქვეყნის პროლეტარიატი დიდის ინტერესითა და თანაგრძნობით შეხვდა. მაგრამ მენშევიკებისა და ესერების ანტირევოლიუციონურმა პოლიტიკამ, მეტადრე თავდასხმაზედ გადასვლამ და მუშათა და სალდათთა ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლამ, ყველა გვარ ოპორტინისტულ მწერლობას დიდი მასალა მისცა, რომ ეთქვა: რუსეთის რევოლიუცია ეს არ არის ბრძოლა ზავისთვის, არამედ შინაური არევ-დარევაო. ახალმა რევოლიუციის და მუშებისა და გლეხების მთავრობის დაარსების ამბავმა კი მუშები გერმანიასა და ავსტრიაში პირდაპირ განცვიფრებაში მოიყვანა.

მართალია საქმის ნამდვილი ვითარება მათ კარგათ არ იცოდნენ, მაგრამ მუშების მთავრობის სინამდვილეში არსებობა თავის-თავათ იმას ამბობდა, რომ კითხვა ზავის შესახებ უნდა ახლო მომავალში გადაწყვეტილიყო. გერმანიაში არ არის ისეთი ძლიერი რევოლიუციონური ორგანიზაცია, როგორიც რუსეთში ბალშევიკებისა არის. ჩვენი თანამოაზრეთა „სპარტაკის“ ჯგუფი და მემარცხენე რადიკალები იძულებულნი არიან არალეგალურათ იცხოვრონ და იმუშაონ. გერმანიაში ქალალდი არ არის, რადგან მთავრობამ ის წინათვე ჩამოართვა ყველას. სხვა საშუალებანიც მეტათ ნაკლებათ აქვთ ჩვენს ამხანაგებს. ამგვარ პირობებში იმათ ვერ შესძლეს, რომ დაუყონებლივ მოეწყოთ მასიური დემონსტრაციები და ამით გამოეაშკარავებინათ თავისი დამოკიდებულება რუსეთში მომხდარ მუშათა რევოლიუციისადმი. რაც შეეხება ფართო მასის სულიერ განწყობილებას, იგი ბოლო ხანებში დიდათ გამოიცვალა თვით სოციალ-პატრიოტების წრეებშიაც კი. როგორც ცნობილია; გერმანიის სოც.-დემ. დამოუკიდებელმა პარტიამ ომის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა, მაგრამ იმის წინააღმდეგ აქტიურათ ბრძოლის წარმოების ინიციატივა ვერ აიღო ხელში, რადგან ამას მეტი ძალა და საშუალება ესაჭიროებოდა. მიუხედავათ ამისა, სამი წლის ომმა, შიმშილმა, ხალხის გაჭირებამ იქნობამდე მიიყვანა ქვეყანა, რომ გერმანიის მუშათა დამოუკიდებელმა პარტიამ ამ წლის სექტემბერში მე III ციმერვალდის კონფერენციაზედ წინადადება შეიტანა, რომ მოწყობილიყო ყველა მებრძოლ ქვეყნებში ერთდროული გაფიცვა. როცა დაბრუნდნენ ისინი თავის სამშობლოში, აქ დაიწყო მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება მათი, ამას მოჰყვა გერმანიის ფლოტში მოძრაობაც. ამ დროს 400 მეტი ამხანაგები, უმთავრესათ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები დაიჭირეს ციხეებში. ამან შეუშალა ხელი საერთო გაფიცვის მოწყობას. ჩვენ არ ვიცით, როგორ არის ახლა ამ გაფიცვის საქმე, მაგრამ როგორც კი გაიგეს ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა რუსეთის ახალი რევოლიუციის ამბავი, იმათ დაუყონებლივ შეატყობინეს ციმერვალდიის კომისიას, რომ მზათ არიან მხარი დაგვიჭირონ და ზავის ჩამოგდებისათვის ბრძოლაში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ. რამდენიმე დღის შემდეგ ამ პარტიამ თავის „ლეიპციგის გაზეთ“-ში შემდეგი მოწოდებით მიმართა გერმანიის პროლეტარიატს.

— მუშებო!

რუსეთში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება—საერთაშორისო მნიშვნელობისა და ხასიათის მოვლენაა. პროლეტარიატის წინაშე არას დროს არ ყოფილა ისეთი საპასუხისმგებლო მომენტი, როგორიც ახლაა. რუსეთის მუშათა მთავრობა, რომელიც თავისი არსებით მტერია კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის იმპერიალისტური მისწრაფებების, წინადადებას იძლევა ყველა ფრონტებზე შესწყდეს ომი და ორივე მებრძოლი მხარე შეუდგნენ ზავის პირობების შემუშავება-მსჯელობას, იმ აუცილებელი პირობით, რომ ზავი უნდა იყოს უანექსიო და მოლაპარაკება კიდევ აშკარათ, საქვეყნოთ უნდა სწარმოებდეს. ამით იბადება რწმენა, რომ ზამთარში ომის ახალს კამპანიას ავიშორებთ თავიდან.

მაგრამ ეს იმედი არ გამართლდება, თუ ნემეცების პროლეტარიატი მარტო უბრალო მაყურებელი შეიქმნა იმისა, რაც ახლა რუსეთში ხდება. ნემეცების პროლეტარიატი ყველაზე მეტათ მოვალეა მოახდინოს ყველგან მასიური დემონსტრაციები, რომ მთელი ქვეყნის ხალხებს მიანიჭოს უანექსიო ზავი. ჩვენ სოციალისტები, სულ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით და ენერგიულათაც ვებრძოდით როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ახალ ტერიტორიის დაპყრობასა და შემოერთების პოლიტიკას. მით უფრო დღეს ეს დაპყრობა სხვისი ქვეყნებისა უნდა უარ-ყოფილ იქმნას, რადგან ზავის ჩამოგდება, უამისოთ შეუძლებელია.

ამხანაგებო! დაამტკიცეთ, რომ ამ საკითხში თქვენსა და გაბატონებულ კლასებს შორის საერთო არა გაქვთრა. რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთათ მოითხოვთ უანექსიო ზავს. საქმეს შეუდექით! არ დაივიწყოთ უდიდესი საერთაშორისო მიზნები. მოაწყეთ ყველგან კრებები, რომელზედაც უნდა ხმა მაღლა გაისმოდეს მოთხოვნა: შეწყვიტა ომისა ყველა ფრონტებზე, რომ უანექსიო ზავის მკვიდრი შეკვრა სინამდვილეთ იქცეს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ დამოუკიდებელ პარტიის სახელით ხელს აწერენ: დიტმანი, ჰააზე, გოფერი, ლაუკნეტი, ლედებური, ვენგელსი, ციცი. ზავის დეკრეტზედ „ლეიპციგის გაზეთი“ აი რა აზრს გამოსთქვამს.

„ეს რადიკალური მიმართვა ორივე მებრძოლ კოალიციის ხელმძღვანელ წრეებში, რასაკვირველია, არ გამოიწვევს თანაგრძნობასა და მოწონებას და სწორეთ ამიტომ შეიძლება იგი კიდეც უარ-ყოფილ იყოს, მაგრამ ამ დროს ყველა ხალხების, დემოკრატიული წრეების და უმთავრესათ პროლეტარიატის წმინდა მოვალეობაა გამოუცხადოს მთავრობებს, რომ რუსეთის მთავრობის მიერ წამოყენებული ზავის პირობები არის საერთო მშვიდობიანი მოთხოვნა დემოკრატიის, რომელი მოთხოვნაც საფუძვლათ ხანგრძლივ მშვიდობიანობის დამყარებას უნდა დაედვას. იმ შემთხვევაში თუ კითხვის ამ გვარი გადაჭრა ვერ მოხერხდა უიმისოთ, რომ ფრონტებზედ სისხლის ღვრა შეჩერებულ იქმნას, მაშინ დემოკრატიის მოვალეობაა ამ მიზნის მიღწევისათვის მაინც იბრძოლოს. ყოველ შემთხვევაში მუშათა მთავრობის მოთხოვნა არ უნდა გახდეს მიზეზათ ამ მოთხოვნების უარყოფის, დამცირების ან ზავის შესახებ მოლაპარაკების დაგვიანების. რუსეთის მთავრობამ ეს დაბრკოლებანი თითონ ჩამოიცალა გზიდან, როცა განაცხადა, რომ ეს მოთხოვნანი არ არის ულტიმატიური ხასიათის, რომ ის მზათაა განიხილოს სხვა მშვიდობიანი ხასიათის მოთხოვნანი. მხოლოთ ის ითხოვს ერთს. რომ ჩუმი დიპლომატიური, ორ-აზროვანი და ბუნდოვან მოლაპარაკების მაგიერ დაიწყოს მოლაპარაკება აშკარათ, საქვეყნით, ყველას გასაგონათ. მუშათა კლასი ყველა დაინტერესებული ქვეყნებისა მოვალეა მოსთხოვოს თავის მთავრობას, რუსეთის დემოკრატიის წინადადებას ღირსეული პასუხი გასცეს. დადგა დრო მოქმედებისა. თუ არ გამოვიყენეთ ეს დრო ზავის ჩამოსაგდებათ, შეიძლება გავიდეს მრავალი დრო და ამ გვარი პირობები კი აღარ გვექნება ხელში, გადამწყვეტი ბრძოლის საათი დადგა ხალხნი და მათი ბელადები მოვალენი არიან შეიგნონ ამ მომენტის დიდი მნიშვნელობა. უსაშინელეს პასუხისმგებლობას იკისრებენ ისინი, ვინც ვერ შეითვისებენ და ვერ გამოიყენებენ დღეს რუსეთის მთავრობის ევროპისადმი უდიდეს მოწოდების ღირსებულებას“.

ამასთანავე საჭიროა ითქვას, რომ რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის ზედგავლენით დიდი ცვლილება მოხდა თვით გერმანიის ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობაში, რომელმაც ზავის და შერიგების საკითხში სრული თანხმობა განაცხადა გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთათ და შეგვპირდა ყოველ ნაირ დახმარებას. მართალია ბოლშევიკებსა და ნემეცების სოციალ პატრიოტების პარტიების შორის მეტათ მტრული განწყობილებაა, ნემენცების ობორონცებმა სტოკჰოლმში თავიანთი წარმომადგენელი გამოგზავნეს რომ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს მოლაპარაკებოდნენ. რადგან ნემეცების სოციალისტ-შოვინისტები მთელი სამი წლის ომის დროს ხელს უშლიდენ მთელი ქვეყნის პროლეტარულ სოლიდარობის განმტკიცების საქმეს, ამიტომ ჩვენი საზღვარ-გარეთელი წარმომადგენლობა დასთანხმდა მოლაპარაკების დაწყებას იმ პირობით, რომ ეს მოლაპარაკება მოხდეს საჯაროთ. რასაკვირველია შეიდემანის მომხრეებზე დიდი იმედის დამყარება არ შეიძლება, მაგრამ ერთი ეს მომართვაც კი იმას ამბობს, რომ გერმანიის ფართე დემოკრატიული მასსა მოითხოვს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას. გერმანელი ობორონცები იძულებული არიან ამ მასიურ მოთხოვნას დაემორჩილონ.

ავსტრიაში, რომ მიიღეს პირველი ცნობა რუსეთის რევოლიუციაზედ, ქალაქ ვენაში მოხდა გრანდიოზული მიტინგი, სადაც დემონსტრაციაში ასი ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დღეს ავსტრიელი ხალხი აღარ კმაყოფილდება უბრალო სიტყვიერ განცხადებით და ზავისათვის ქუჩაზე აშკარა ბრძოლას აწარმოებს. იტალიაში კი ნამდვილ ხალხის აჯანყებასთან გვაქვს საქმე. ამას მოწმობს მთელი რიგი აჯანყებისა იტალიის მრავალ ქალაქებში. იყო მაგალითები, რომ ხალხს ჯარიც მიემხრო (ქალ. ტურინში). უკანასკნელმა დამარცხებამ, შიმშილმა და გაჭირვებამ იტალიის ხალხი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ ის იძულებულია თავის უფლებები ქუჩაზედ გამოსვლით მოიპოვოს

რაც შეეხება საფრანგეთსა და ინგლის, ბალშევიკების საზღვარგარეთელი წარმომადგენლობა და ციმერვალდის სოციალისტური კომისია ყველა ნაირ ზომებს იღებს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის პროლეტარიატს გააცნონ რუსეთში მომხდარი ამბები. ევროპაში ჯერ აჯანყება არ არის, მაგრამ მასიურ მოძრაობის პირველ ხანას მეორე ხანა მოსდევს, როცა ომისაგან განწირული და სასოწარკვეთილებამდე მისული დემოკრატია ომის შეწყვეტას და ზავის ჩამოგდების ხმა მაღლა მოითხოვს. რუსეთის მუშებისა და გლეხების მთავრობის არსებობა ისეთი ფაქტორია დღეს, რომ პირველი ნაბიჯი ომის გათავებისა, ზავის მოთხოვნა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ფეხზე დააყენებს და მშვიდობიანი მოთხოვნიდან აშკარა რევოლიუციონურ გამოსვლაზე მიიყვანს მათ.

კ. რადეკ.

### ენისეის. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებისგან ენისეის გუბერნიის ყველა მოქალაქეთა მიმართ

სრულიათ რუსეთის ყრილობამ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისამ ბოლო მოუღო ყოველ გვარ შეთანხმებას მემამულეებთან და კაპიტალისტებთან.სრულიათ რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობამ გასწყვიტა კავშირი ბურჟუაზიასთან, ჩამოაშორა იგი ქვეყნის მართვა გამგეობას და მთელი მოსილობა ძალა უფლებისა ხელთ იპყრა.მან შექმნა ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო ძალა უფლებისა პეტროგრადში.

დადგა დრო ხალხის ძალა-უფლებისა. უზენაესი ძალა-უფლება დაწყობილი ცენტრიდგან, ვიდრე უკანასკნელათ დაშორებულ კუთხემდე უნდა გადავიდეს დაუყონებლივ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ხელში.

ენისეის გუბერნიის მოქალაქენო! დღევანდელის დადგენილებით შეერთებული აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ ენისეის გუბერნიის კომისარი დათხოვნილია თანამდებობიდგან, სრული ძალა-უფლება გუბერნიაში და მის ყველა ოლქებში გადადის შეერთებულ გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის ხელში, რომლის დადგენილება და განკარგულება სავალდებულოა ყველა დაწესებულებებისა, თანამდებობის პირებისა, ორგანიზაციებისა და გუბერნიის მოქალაქეთათვის.

მოქალაქენო! შეერთებული გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი, დაყრდნობილი რევოლიუციონურ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ნება სურვილზე ფრთხილათ ადევნებს თვალყურს რევოლიუციის ინტერესებს. იგი ნებას არ მისცემს არც ერთ ცდას წინააღუდგეს რევოლიუციონურ ხალხის ნების ყოფას და მასზე დაყრდნობილი შესძლებს უზრუნველჰყოს თავისი ავტორიტეტი გუბერნიაში.

გაუმარჯოს საბჭოების ძალა-უფლებას, რევოლიუციონურ ხალხის ძალა უფლებას

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს რევოლიუციას!

შეერთებული გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა დეპუტატების ენისეის გუბერნიაში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა